Erasmus+

CURE
ERASMUS+ Multi-National Joint Project
Promoting Democracy and Civic Education

*პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ*

THE PROJECT IS FUNDED BY THE EUROPEAN UNION

# სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის

*კვლევის ანგარიში*

პროექტი: CURE

კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში

თბილისი

2017

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

THE PROJECT IS FUNDED BY THE EUROPEAN UNION

# კვლევის ანგარიში ,,სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის"


**ავტორები:**

ანა ბეჟანიშვილი (ილიაუნი)

ლიკა ზაალიშვილი (ილიაუნი)

ლაშა მაჭარაშვილი (ილიაუნი)

შალვა ჩხეიძე (ილიაუნი)

სალომე ხურციძე (ილიაუნი)

**კვლევის ხელმძღვანელები:** თამარ მოსიაშვილი და გიორგი გახელაძე

**რეცენზენტები:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიგი თევზაძე, განათლების დოქტორი სიმონ ჯანაშია

**კვლევის ასისტენტები:**

ხატია გოგობერიშვილი (თსუ), თედო სართანია (ქუნი), მანანა კოხოძე (სჯსუ), თამარ ახალკაცი (სჯსუ), შორენა ფაღავა (ბსუ), ია კუბლაშვილი (ბსუ), თაკო მანაგაძე (ქუნი)



კვლევის ანგარიში მომზადებულია პროექტის "CURE - კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლების და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში"  ფარგლებში

# სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის

*კვლევის ანგარიში*

## სარჩევი


აბსტრაქტი ........ 5

შესავალი ........ 6

1. მეთოდოლოგია ........ 7
   1.1 სამაგიდე კვლევა ........ 7
   1.2 რაოდენობრივი კვლევა ........ 7
   1.3 თვისებრივი კვლევა ........ 9
   1.4 კვლევის შეზღუდვები ........ 9

2. სამაგიდე კვლევის შედეგები ........ 10
   2.1 სამოქალაქო აქტივიზმის დეფინიციები ქართულ და უცხოურ ინტერნეტ-სივრცეში........ 10
   2.2 სამოქალაქო აქტივიზმი კავკასიაში ........ 11
      2.2.1 საქართველო........ 11
      2.2.2 სომხეთი........ 13
      2.2.3 აზერბაიჯანი ........ 14
   2.3 ევროპული და ამერიკული გამოცდილება........ 16

3. რაოდენობრივი კვლევის შედეგები ........ 22
   3.1 რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები........ 22
   3.2 სამოქალაქო აქტივიზმი უნივერსიტეტში ........ 22
   3.3 პირადი გამოცდილება........ 25

4. თვისებრივი კვლევის შედეგები ........ 26
   4.1 სამოქალაქო აქტივიზმის განმარტება და მისი მაგალითები ........ 26
   4.2 სამოქალაქო აქტივიზმი საუნივერსიტეტო სივრცეში ........ 27
      4.2.1 სამოქალაქო აქტივიზმის ხელისშემშლელი ფაქტორები ........ 28
      4.2.2 სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი ფაქტორები........ 29
   4.3 სამოქალაქო აქტივიზმის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები საუნივერსიტეტო სივრცეში ........ 30
   4.4 უნივერსიტეტისა და თემის ურთიერთკავშირი........ 32
   4.5 სტუდენტების პირადი გამოცდილება ........ 34
   4.6 სამოქალაქო აქტივიზმის ინიციატივა........ 34

5. კვლევის შედეგების ანალიზი და განხილვა ........ 34

6. დასკვნა ........ 36

7. გამოყენებული ლიტერატურა:......38

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია "ERASMUS+"-ის გამარჯვებული პროექტის ფარგლებში „კურიკულუმის რეფორმა დემოკრატიული პრინციპებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობისათვის ისრაელსა და საქართველოში" (CURE), რომლის მიზანია მრავალგანზომილებიანი პროგრამის შექმნა და განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ისრაელის უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა განათლების პროგრამების კურიკულუმის რეფორმირებას დემოკრატიული პრინციპებისა და სამოქალაქო განათლების გაძლიერების კუთხით. პროექტში ჩართულია საქართველოს ხუთი უნივერსიტეტი, ისრაელის ხუთი უმაღლესი სასწავლებელი, სამი არასამთავრობო ორგანიზაცია, საქართველოს, ისრაელისა და ესტონეთის მხრიდან, და ცხრა სტუდენტური გაერთიანება. მოცემული კვლევა ფოკუსირებულია ქართული კონტექსტის შესწავლაზე და მიზნად ისახავს სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სტუდენტების ცოდნისა და დამოკიდებულებების შესწავლას, ასევე საუნივერსიტეტო გარემოს კვლევას, რომელიც ხასიათდება ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც შევისწავლეთ სამოქალაქო აქტივიზმის დეფინიცია, კავკასიური, ევროპული და ამერიკული გამოცდილება სამოქალაქო ჩართულობის კუთხით. ასევე, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, რომელიც უშუალოდ იყო ფოკუსირებული სტუდენტების გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შესწავლაზე. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა სამოქალაქო აქტივიზმში მოიაზრებს საზოგადოებრივ პროცესებში თანამონაწილეობას და არა ინიციატორობასა თუ აქტიურ მოქმედებას. შესაბამისად, მათი სამოქალაქო ჩართულობის მაჩვენებელი არის დაბალი, განსაკუთრებით კი რეგიონებში. სტუდენტების სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას ხელს უშლის სასწავლო პროცესი, რომელიც არ არის მოქნილი, ფინანსური რესურსების ნაკლებობა, მოტივაციის დაბალი დონე და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. რაც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობ ფაქტორებს, სტუდენტების დიდი ნაწილი ინდივიდუალურ მოტივაციას და ლიბერალურ სასწავლო გარემოს ასახელებს. ასევე გამოიკვეთა უნივერსიტეტისა და თემის ურთიერთკავშირის ნაკლებობა, რაც კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს.

## შესავალი

სამოქალაქო აქტივიზმი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების, კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. ქვეყნების განვითარების ისტორიულ გზაზე მას ყოველთვის უდიდესი როლი ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა სამოქალაქო აქტივიზმმა მას შემდეგ შეიძინა, როდესაც მსოფლიო დემოკრატიული გამოწვევების წინაშე დადგა. დღეს სამოქალაქო აქტივიზმი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ თემასთან დაკავშირებით ჩატარებულია არაერთი კვლევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ტერმინი ,,სამოქალაქო აქტივიზმი" სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. მაგალითად, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია - APA - მას განმარტავს, როგორც „საზოგადოებრივი ინტერესებით შემუშავებულ და განხორციელებულ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საქმიანობას", ან კიდევ, როგორც "მოქალაქეთა მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ცვლილებებისაკენ" (Obar, 2012) შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო აქტივიზმი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი მახასიათებელი, გულისხმობს აქტიურ მოქალაქეობას ანუ მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

პროექტ „CURE''-ის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახალციხე) სტუდენტები გეგმავენ სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას საუნივერსიტეტო სივრცეებში. დაგეგმილია სამოქალაქო აქტივიზმის ცენტრების შექმნა და ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც გააძლიერებს უნივერსიტეტებში სამოქალაქო განათლების პრაქტიკულ ასპექტებს.

სტუდენტური აქტივობებისთვის სამოქმედო გეგმის შექმნისა და ეფექტური განხორციელების მიზნით, პროექტ CURE-ს კონსორციუმის წევრის, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პარტნიორი სტუდენტების მიერ 2017 წლის იანვარ-მარტში დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო: 1. სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სტუდენტების ცოდნის გარკვევა, 2. სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ სტუდენტების დამოკიდებულების დადგენა და 3. საუნივერსიტეტო სივრცეში სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობის გზებისა და საშუალებების მოძიება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ არსებული გამოცდილება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, აშშ-ს უნივერსიტეტებსა და კავკასიის რეგიონში (სამაგიდე კვლევა), ასევე ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი და ონლაინ-გამოკითხვა. რაოდენობრივ კვლევაში (ონლაინ გამოკითხვა) მონაწილეობა მიიღო 420-მა რესპონდენტმა საქართველოს ხუთი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტები. წინამდებარე ანგარიშში მოცემულია გამოკითხული სტუდენტების გამოცდილება სამოქალაქო აქტივიზმის სფეროში და მათი მოსაზრებები მისი ხელშემშლელი და განმავითარებელი ფაქტორების შესახებ.

## 1. მეთოდოლოგია

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ სამაგიდე კვლევის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

### *1.1 სამაგიდე კვლევა*

კვლევის პირველ ეტაპზე, საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ სამაგიდე კვლევა. ჩვენი მიზანი იყო სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ თეორიული და ემპირიული ცოდნის მიღება, რისთვისაც შევისწავლეთ როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა და გავეცანით ბოლო ათწლეულში ჩატარებულ კვლევებს სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ.

სამაგიდე კვლევისათვის შევარჩიეთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც აღწერდა სამოქალაქო აქტივიზმის არსებულ მდგომარეობას საქართველოში, მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

### *1.2 რაოდენობრივი კვლევა*

კვლევის ფარგლებში, მონაცემების მოსაპოვებლად, შევარჩიეთ რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ მეთოდი ინტერნეტ-გამოკითხვა, რამაც საშუალება მოგვცა დროის მცირე

შუალედში გამოგვეკითხა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სტუდენტები. ამასთანავე, აღნიშნული მეთოდის გამოყენება მაქსიმალურად უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვას, რაც მნიშვნელოვანია ობიექტური და სანდო მონაცემების მისაღებად.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ონლაინ-ანკეტა, რომელიც სამი ძირითადი ბლოკისგან შედგებოდა. პირველი ბლოკი შეიცავდა დემოგრაფიული ხასიათის კითხვებს. ანკეტის მეორე ნაწილის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო აქტივიზმის პრაქტიკის კვლევა, ხოლო მესამე ბლოკი უშუალოდ უკავშირდებოდა რესპონდენტების პირად გამოცდილებას სამოქალაქო აქტივობებთან დაკავშირებით.

კვლევისას გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი. აღნიშნული ფაქტი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კვლევა ჩატარდა CURE პროექტის ფარგლებში, რომელშიც სწორედ ეს 5 უმაღლესი სასწავლებელია ჩართული.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ დასახელებული უნივერსიტეტების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. აღნიშნული სამიზნე ჯგუფის შერჩევა განპირობებულია კვლევის ძირითადი მიზნებით. უფრო კონკრეტულად, კვლევა ორიენტირებულია სტუდენტების პირადი გამოცდილებისა და სტუდენტური პრაქტიკების შესწავლაზე სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს კი უფრო მეტად გააჩნიათ ასეთი ტიპის აქტივობების გამოცდილება. შესაბამისად, ისინი უკეთესად იცნობენ ამ სფეროში არსებულ პრობლემებს, შეუძლიათ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება და დაძლევის გზების შემოთავაზება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 420-მა რესპონდენტმა, თუმცა კვლევის პროცესში ელექტრონული კითხვარი გაეზავნა შერჩეული 5 უნივერსიტეტის 1200 სტუდენტს. შესაბამისად, მიღებული პასუხების მაჩვენებელი 35%-ია. რესპონდენტების შერჩევისას დაცული იყო სქესისა და კურსის მიხედვით თანაფარდობა, რისთვისაც გამოვიყენეთ ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებული შერჩევა. სტრატებს შიგნით რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი პრინციპით. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გენერალური ერთობლიობის ნებისმიერი კატეგორიის წარმომადგენელს კვლევაში მონაწილეობის თანაბარი საშუალება ეძლევა, რაც მრავალფეროვანი მონაცემების მიღებასა და სრულყოფილი სურათის დანახვას უზრუნველყოფს. ამასთანავე, სტრატიფიცირებული შერჩევის გამოყენებისას

მოსალოდნელია, რომ ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის წარმომადგენლები სათანადო პროპორციით მოხვდებიან შერჩევაში.

მონაცემები დავამუშავეთ სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის (IBM SPSS STATISTICS 20) გამოყენებით. თავდაპირველად, განვახორციელეთ მონაცემების გაწმენდა, დალაგება, სორტირება, რის შემდეგაც გამოვიყენეთ აღწერითი სტატისტიკის მეთოდები - სიხშირეთა განაწილება, კროსტაბულაცია, ცენტრალური ტენდენციის საზომები.

## *1.3 თვისებრივი კვლევა*

კვლევის მეორე ეტაპზე, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის, ჩავატარეთ ორი ფოკუს-ჯგუფი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების შერჩევისას დაცული იყო ჰომოგენურობა. კერძოდ, რესპონდენტები მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები იყვნენ. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 8 სტუდენტმა. მათ შესარჩევად გამოვიყენეთ „თოვლის გუნდის"(snow ball) მეთოდი, რომელიც რიცხობრივად მცირე ჯგუფებიდან შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა (წულაძე, 2008).

ფოკუს-ჯგუფებს უძღვებოდა მოდერატორი, რომელიც დისკუსიას წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმით წარმართავდა. გეგმა დაახლოებით 15 ღია კითხვას აერთიანებდა და დაყოფილი იყო სამ ძირითად ბლოკად. უფრო კონკრეტულად, სამოქალაქო აქტივიზმის პრაქტიკები უნივერსიტეტში (ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები), უნივერსიტეტისა და თემის ურთიერთკავშირი და სტუდენტების პირადი გამოცდილება სამოქალაქო აქტივიზმის განხორციელების კუთხით.

რესპონდენტების თანხმობით, შემდგომი ანალიზის მიზნით, გაკეთდა ფოკუს-ჯგუფების აუდიო ჩანაწერი. საბოლოოდ, მიღებული პირველადი მონაცემები დავამუშავეთ ნარატიული ანალიზის მეთოდით.

## *1.4 კვლევის შეზღუდვები*

1. **სტატისტიკური ანალიზის მეთოდების სიმცირე** - კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ მხოლოდ აღწერითი სტატისტიკის მეთოდები. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია კვლევის მიზნებითა და მიღებული მონაცემებით.

2. **მონაცემების სიმცირე** - კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა საკვლევი საკითხის შესახებ ლიტერატურის სიმცირე. სამაგიდე კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევა, რაც ართულებს რეგიონული კონტექსტის ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობას.

3. მოპოვებულ ლიტერატურაში შესწავლილია ზოგადად სტუდენტების მოსაზრებები და დამოკიდებულებები და არ არის დაკონკრეტებული მათი სწავლის საფეხური, მაშინ, როდესაც ჩვენი კვლევის ფარგლებში მხოლოდ ხუთი უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტები გამოვკითხეთ. აღნიშნული გადაწყვეტილება განაპირობა პროექტის მიზნებმა და ამოცანებმა. კერძოდ, პროექტი მიზნად ისახავს კონკრეტული აქტივობების დაგეგმვას მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის, რისთვისაც საჭიროა მათი მოსაზრებების შესწავლა.

# 2. სამაგიდე კვლევის შედეგები

## *2.1 სამოქალაქო აქტივიზმის დეფინიციები ქართულ და უცხოურ ინტერნეტ-სივრცეში*

ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ნაკლებად შეხვდებით სამოქალაქო აქტივობის სტრუქტურირებულ განმარტებას. ბეგიაშვილი და სხვები (2007) გვთავაზობენ **აქტიური მოქალაქეობის** ინდიკატორებს: საზოგადოებაში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გადაწყვეტილების მიღებაში წვლილის შეტანა, საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების გააზრება, ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება და სხვ.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი გვთავაზობს სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციას, როგორც „განვითარებული სოციალურ–ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ–ზნეობრივი ურთიერთობების საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს მაღალი საერთო და სოციალურ–პოლიტიკური კულტურა“. ბრანდერი (2004) განსაზღვრავს მოქალაქეობის სამ კომპონენტს: 1. სამოქალაქო კომპონენტს, რომელიც პიროვნულ თავისუფლებას გულისხმობს; 2. პოლიტიკურ კომპონენტს, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას ეხება; 3. სოციალურ კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ღირსეული საცხოვრებელი პირობების არსებობასთან. იგივე ავტორი მიუთითებს, რომ მოქალაქეობაზე განყენებულად ვერ ვილაპარაკებთ, რადგან თავად ამ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც იგი საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის რეალურ მოთხოვნილებებთანაა კავშირში. მოქალაქეობა ეს არის აქტიური მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც თან ახლავს როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები (ბრანდერი, 2004).

შედარებისათვის მოვიძიეთ სამოქალაქო აქტივიზმის განმარტება სხვადასხვა წყაროებში.

ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია - APA სამოქალაქო ჩართულობას განსაზღვრავს, როგორც: „საზოგადოებრივი ინტერესებით შემუშავებული და განხორციელებული ინდივიდუალური ან კოლექტიური საქმიანობა“. მსგავს დეფინიციას გვთავაზობს სოციალური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც, სოციალური აქტივიზმი არის სოციალური ნორმები და პრაქტიკები, რომლებიც ზრდიან მოქალაქეების ჩართულობას საზოგადოებრივ პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ერლიხი (2000), წიგნში „Civic Responsibility and Higher Education“, გვთავაზობს სოციალური ჩართულობის შემდეგ განმარტებას: „მუშაობა, რათა მოხდეს ცვლილებები თემში და ამ ცვლილებების მოსახდენად საჭირო ცოდნის, უნარების, ფასეულობებისა და მოტივაციის შემუშავება“. თითქმის იდენტურ განმარტებას გვაძლევს ობარი (2012), რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო აქტივიზმი არის მოქალაქეთა მოქმედებები, რომლებიც მიმართულია სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ცვლილებებისაკენ.

საბოლოოდ, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო წყაროებიდან მოხმობილი განმარტებები ორიენტირებულია პირადი პასუხისმგებლობის საკითხზე და სამოქალაქო აქტივიზმში მოიაზრება რიგითი მოქალაქეების მიერ ისეთი აქტების განხორციელება, რომლებსაც საზოგადოებისათვის დადებითი შედეგები მოაქვთ.

## *2.2 სამოქალაქო აქტივიზმი კავკასიაში*

### 2.2.1 საქართველო

საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი ძირითადად პოლიტიკასთან, პროტესტთან და ქუჩის აქციებთან არის გაიგივებული. ბოროუსი და კოლეგები (2011) მიუთითებენ, რომ „საქართველოში დღემდე არსებობს მენტალური, სოციალური და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლის ხელს“. ერთ-ერთ მენტალურ ბარიერად, იგივე ავტორები, სახელმწიფოსა და საზოგადოების ცნებების დიქოტომიური ბუნების შესახებ საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებულ წარმოდგენას ასახელებენ. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი გვთავაზობს 2012 წლის მარტში გამართული საჯარო დისკუსიის ტრანსკრიპტს სახელწოდებით „მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი“, რომელშიც მოცემულია სამი ექსპერტის მოხსენება და დისკუსია. ექსპერტები სამოქალაქო აქტივიზმს განმარტავენ, როგორც მოქალაქეთა რეაქციას სახელმწიფოს მიერ იგნორირებულ ან სახელმწიფოს მიერ შექმნილ პრობლემაზე. ერთ-ერთი მათგანი ქართულ სამოქალაქო აქტივიზმს

აკრიტიკებს და ხაზს უსვამს, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმს ძირითადად ემოციური წინაპირობები აქვს. ის ასევე საუბრობს ქვეყანაში პლურალიზმის პრობლემის შესახებ. აღნიშნული დისკუსიის სათაურიდან და მასში გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩანს, რომ სამოქალაქო აქტივიზმის გაგება საქართველოში უფრო მეტად პოლიტიკურ ასპექტებთანაა დაკავშირებული და არაპოლიტიკურ საკითხებს ნაკლებად ეხება.

საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება ჩანს სამოქალაქო აქტივიზმის საკითხზე ჩატარებულ ბოლოდროინდელ კვლევებშიც. 2017 წლის ახალგაზრდობის კვლევის მიხედვით (ებერტის ფონდი, 2017) ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა მთავრობას (34%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (32%), მაშინ როცა მათი უმრავლესობა (56%) მნიშვნელოვნად მიიჩნევს არჩევნებში მონაწილეობას. მეორე მხრივ, კი გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული სამოქალაქო შეხვედრებში, 2% გახლდათ სოციალური აქციის მონაწილე და 4%-ს ხელი აქვს მოწერილი რაიმე სახის პეტიციაზე. მიუხედავად აქტივიზმის პოლიტიკური გაგებისა, კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ რეალურად ახალგაზრდების მხოლოდ 2% არის ნამყოფი პოლიტიკური პარტიის შეკრებაზე და 1% - პოლიტიკურ აქციაზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პროტესტის გრძნობა, თუმცა როგორც პოლიტიკურ, ისე არაპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივიზმში ახალგაზრდობა პასიურადაა ჩართული. აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიური ბარომეტრის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 4% ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2014 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა (69.2%) არ იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას, ხოლო ზოგად ცოდნას მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ახალგაზრდების მხოლოდ 21,4% ფლობს. ასევე, გამოკითხულთა 90.4% მიიჩნევს, რომ მას ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, თუმცა მხოლოდ 10.9% მონაწილეობს რაიმე სახის აქტივობებში. იგივე კვლევა გვთავაზობს ინფორმაციას სამოქალაქო აქტივობებში ინტერნეტის დახმარებით ჩართულობის შესახებ. დღევანდელ მსოფლიოში ინტერნეტი სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ინსტრუმენტია. კვლევის მონაცემებით, ახალგაზრდების მხოლოდ 23% იყენებს ინტერნეტ–ფორუმებს საკუთარი აზრის გამოსახატავად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სტუდენტურ აქტივიზმს, საქართველოში ძირითადად პოლიტიკური და სოციალური კრიტიკის სახით არის გამოხატული. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ანტი-სამთავრობო აქცია „სისტემა უნდა დაინგრეს“ (2012), ეკოლოგიური და სოციალური მოძრაობები „მწვანე მუშტი“ და „პარტიზანული მებაღეობა“, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთ აქტივობებში,

როგორებიცაა ვაკის პარკის დაცვა, 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობა და მთავრობის მიერ ჰესების მშენებლობის კრიტიკა. ასევე, 2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს „აუდიტორია 115“, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ საგანმანათლებლო საკითხებზე იყო ორიენტირებული, თუმცა დღესდღეობით უფრო ფართო მემარცხენე სოციალურ აქტივიზმშია ჩართული.

### 2.2.2 სომხეთი

დაახლოებით საქართველოს მსგავსი მდგომარეობაა  სომხეთში, სადაც 2016 წელს ებერტის ფონდის მიერ ასევე ჩატარდა ახალგაზრდობის კვლევა. სომხეთში გამოკითხულთა 51.7% არ ენდობა მთავრობას, ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი კი (24.6%) არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. CIVICUS CSI-ს 2014 წლის მონაცემებით, სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 2.4% არის არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფის ან მოძრაობის წევრი. ამასთანავე, კავკასიური ბარომეტრის მონაცემების მიხედვით, სომხეთში მოიმატა მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართულთა რიცხვმა. 2011 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 22%-ს ჰქონდა მოხალისეობრივი საქმიანობის გამოცდილება, ხოლო 2013 წელს მოხალისეთა რაოდენობა 31%-მდე გაიზარდა, მოხალისეთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორია სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებისათვის. ეს მაჩვენებელი საქართველოში 2011 წელს მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა სომხეთისგან (17%), თუმცა 2013 წელს ზრდა გაცილებით ნაკლები იყო (19%). აგრეთვე, სომხეთში ნაკლებია მთავრობისადმი ნდობის მაჩვენებელი (2%) და მოსახლეობის მხოლოდ 3% ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს.

World Value Survey-ს მიხედვით, სომეხი მოსახლეობა ნაკლებად არის პოლიტიკით დაინტერესებული (65%). საინტერესოა, რომ ეს მონაცემი გაიზარდა 1990-იან წლებთან შედარებით. 1997 წელს პოლიტიკური საკითხები არ აინტერესებდა მოსახლეობის 13%-ს, ხოლო 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 35% შეადგინა. გარდა ამისა, CRRC-ის მიხედვით, სომხეთში 17-დან 10 სამოქალაქო ინიციატივა ინტერნეტის, კერძოდ კი Facebook-ის დახმარებით არის დაგეგმილი. როგორც კვლევამ აჩვენა, სოციალური მედია ნამდვილად ზრდის სამოქალაქო აქტივობას, თუმცა მისი გავლენა დაბალია პოზიტიურ შედეგებზე.

ფაქტია, რომ საქართველოს მსგავსად,  სომეხი სტუდენტები გამოირჩევიან პოლიტიკური და სოციალური აქტივობებით. მაგალითად, 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემდეგ დაწყებული საპროტესტო აქციები (Gevorgyan, 2013). ტრჩკანის ჩანჩქერის დაცვა (2011), მაშტოცის პარკის დაცვა (2012), ტრანსპორტის ფასების მომატების საწინააღმდეგო აქციები(2013), პენსიების პრივატიზაციის წინააღმდეგ პროტესტი (2014) და სხვ. (Ishkanian, 2015).

### 2.2.3 აზერბაიჯანი

პოლიტიკური სიტუაცია აზერბაიჯანში განსხვავებულია. მიუხედავად საქართველოსა და სომხეთში არსებული მთელი რიგი პრობლემებისა, The Economist Intelligence Unit-ის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, აზერბაიჯანი რეგიონში დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ყველაზე დაბალ, 148-ე პოზიციას იკავებს. ამავე ინდექსით საქართველო 78-ე და სომხეთი 120-ე ადგილებს იკავებენ. Human Rights Watch-ის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების დევნას და მედია-საშუალებების დისკრედიტაციას მასობრივი ხასიათი აქვს. კერძოდ, მთავრობისადმი კრიტიკული განწყობილება ხშირად ცილისწამებად აღიქმება და კრიმინალიზებულია. ამავდროულად, საკანონმდებლო ორგანოს 2013 წლის მაისის გადაწყვეტილებით, ცილისწამების დანაშაულს დაემატა ონლაინ ცილისწამებაც, რაც პრობლემის მასშტაბებს კიდევ უფრო ზრდის.

Freedomhouse-ის 2011 წლის მონაცემებით, მთავრობა ავიწროებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც სამოქალაქო აპათიასა და თვითცენზურას იწვევს (Frichova Grono, 2011). პოლიტიკური სისტემისა და სხვადასხვა ორგანოს შერჩევითი დაფინანსების შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა უმნიშვნელოა. არასამთავრობო ორგანიზაციებს უჭირთ პუბლიკაციების გამოქვეყნება, ნაკლებია სამოქალაქო ცნობიერება მოსახლეობაში და ასევე დაბალია მათ მიმართ ნდობა, განსაკუთრებით რეგიონებში (Frichova Grono, 2011).

ლოგიკურია, რომ მსგავსი პოლიტიკური სიტუაცია ხელს არ უწყობს სამოქალაქო აქტივიზმს. საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანის ახალგაზრდულ და სტუდენტურ სოციალურ აქტივიზმზე ნაკლები მონაცემები მოვიპოვეთ. CRRC-ის კავკასიური ბარომეტრის 2013 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, აზერბაიჯანში გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს მოუწერია ხელი რაიმე სახის პეტიციაზე (საქართველო 4%, სომხეთი 6%) - დიაგრამა 1.

*დიაგრამა 1. მონაცემები სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სამხრეთ კავკასიაში*




*წყარო: CRRC კავკასიური ბარომეტრი*

ქვემოთ ამავე ბაზიდან გთავაზობთ რამდენიმე სხვა სტატისტიკურ მონაცემს სამოქალაქო აქტივიზმის გამოვლინებების სიხშირეთა შესახებ:

*დიაგრამა 2 . მონაცემები სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სამხრეთ კავკასიაში*




*წყარო: CRRC კავკასიური ბარომეტრი*

ამავე მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2013 წელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მთავრობისადმი ყველაზე მაღალი ნდობის ინდექსი დაფიქსირდა (20%), რაც ბევრად აღემატება სომხეთისა და საქართველოს მაჩვენებელს, თუმცა არ არის გამორიცხული,

რომ ეს განსხვავება აზერბაიჯანის, ზემოთ ნახსენებ, პოლიტიკურ თავისებურებებს უკავშირდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის სტუდენტური აქტივიზმის შესახებ შედარებით მცირე ინფორმაცია არსებობს, რაც, სავარაუდოდ, უკვე ნახსენებ პოლიტიკურ ფაქტორებს უკავშირდება. ამასთანავე, კავკასიური ბარომეტრის 2012 წლის მონაცემების მიხედვით, აზერბაიჯანის მოსახლეობის 43% თვლის, რომ ხალხმა არ უნდა მიიღოს ანტისამთავრობო აქციებში მონაწილეობა, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი სომხეთში 20%-ს, ხოლო საქართველოში 17%-ს შეადგენს.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო აქტივიზმის მაჩვენებელი სამივე სამხრეთ-კავკასიურ ქვეყანაში დაბალია. საქართველოსა და სომხეთის მაჩვენებლები ერთმანეთის მსგავსია. საქართველოს შემთხვევაში, დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთ მიზეზად სამოქალაქო აქტივიზმის არასწორი გაგება შეგვიძლია მივიჩნიოთ. აზერბაიჯანის შემთხვევაში კი არსებული მაჩვენებლები შესაძლოა პოლიტიკური თავისუფლების დაბალ ხარისხს უკავშირდებოდეს.

## 2.3 ევროპული და ამერიკული გამოცდილება

დასავლეთის ქვეყნებში სტუდენტური აქტივიზმის წახალისების კუთხით განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. აქ უნივერსიტეტი და თემი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

აჯიქ-თოფრაქი (2009) 19 ევროპული ქვეყნის შესწავლის შედეგად გამოყოფს მოქალაქეობის სამ ტიპს: 1. პოლიტიკოსებთან კონტაქტი პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, საჯარო დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება, სათემო ორგანიზაციებში აქტიურობა, პოლიტიკური ჯგუფისთვის თანხის გაღება, 2. არაკომერციული ორგანიზაციების წევრობა, მონაწილეობა, მოხალისეობა, თანხის გაღება სოციალური, სარეკრეაციო, პროფესიული, რელიგიური მიზნებით (ეს განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს ეხება, სადაც ასოციაციების ქსელური კავშირები არსებობს) 3. პოლიტიკური კონსუმერიზმი.[1]

იმ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო განათლება წლების განმავლობაში სასწავლო კურიკულუმის ნაწილი იყო სამოქალაქო ჩართულობა გაცილებით მაღალია. ასევე, მოხალისეობრივი სექტორის მხარდაჭერა მთავრობის მიერ ზრდის მოქალაქეების აქტიურობას (Acik-Toprak, 2009).

არასამეწარმეო ორგანიზაციების ეროვნული საბჭოს მონაცემების მიხედვით, დიდ ბრიტანეთში 2007 წელს 87000 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო

[1] "კონსუმერიზმს უწოდებენ სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგსა და იდეოლოგიას, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლის, პროდუქციისა თუ სერვისის შეძენისკენ უბიძგებს" - წყარო: CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.

რეგისტრირებული, ხოლო საქველმოქმედო ორგანიზაციების რიცხვი 170 000-ს აღწევდა. 2009 წლის კვლევის თანახმად (Acik Toprak, 2009), დიდ ბრიტანეთში მოზრდილთა 57% მონაწილეობს მოხალისეობრივ საქმიანობაში.

ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორები საავტორო კვლევაში „Civic participation and social responsibility" (2010) აღწერენ 1945 წლიდან ქვეყანაში ადამიანთა კეთილდღეობის ზრდისა და საგანმანათლებლო სექტორში განხორციელებული ცვლილებების დადებით კავშირს სამოქალაქო აქტივიზმთან. როგორც აღმოჩნდა, საზოგადოებაში თანდათან მოხდა დეპოლიტიზირება. კერძოდ, პოლიტიკურ პირთა ნაწილი გადავიდა ადგილობრივ მთავრობაში, ინჟინერიასა და ფინანსურ სექტორში, არქტიტექტურაში, იურისპრუდენციისა და მედიცინის სფეროებში. მათ გააფართოეს არასამთავრობო სექტორი, შეიქმნა ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები, მეცნიერებმა და ეკონომისტებმა მუშაობა დაიწყეს Oxfam-ში (საქველმოქმედო ორგანიზაციების კონფედერაცია მსოფლიოში სიღარიბის დასაძლევად) და Christian Aid-ში (საქველმოქმედო და განვითარების სააგენტო, აერთიანებს 41 ბრიტანულ და ირლანდიურ ეკლესიას). დღესდღეობით, საზოგადოება უფრო მეტ ნდობას უცხადებს არასამთავრობო სექტორის ექსპერტებს და არასამეწარმეო ორგანიზაციებს, ვიდრე საჯარო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საინტერესოა ლივერპულის უნივერსიტეტის მაგალითი, სადაც უნივერსიტეტსა და სტუდენტთა გილდიას შემუშავებული აქვს სამოქალაქო ჩართულობის განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს: საჯარო ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ლექციების სერიები მეცნიერებასა და საზოგადოებაზე) ჩატარებას, ახალ კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, ქალაქის მერიასთან ერთად გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვასა და ადგილობრივ ფორუმებზე სამუშაო შეხვედრების ჩატარებას. ასევე, რეგიონულ დონეზე ერთობლივი მოხალისეობრივი სტრატეგიის შემუშავებასა და მოხალისეობრივი პროგრამების ამოქმედებას (Cliff და Reynolds, თარიღის გარეშე).

ლივერპულს აქვს ამბიცია, რომ 2030 წლისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ქალაქი-რეგიონი გახდეს. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ მიზნის მიღწევაში. მაგალითად, მოიწვიოს უცხოელი თანამშრომლები/სტუდენტები, მოიზიდოს ცოდნაზე ორიენტირებული კომპანიები. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ლივერპულს სასწავლო ქალაქად ჩამოყალიბებაში (Cliff და Reynolds, თარიღის გარეშე).

**რა კონტრიბუცია შეაქვს უნივერსიტეტს ლივერპულის რეგიონის განვითარებაში**

| ძლიერი მხარე | მაგალითები | აქტივობები |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ხალხი | თანამშრომლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები | ცოდნის გაცვლა, მოხალისეობა, დროებითი სამუშაოები, ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის გაზრდა |
| კავშირები | პირადი კონტაქტები, პროფესიული და კორპორაციული კავშირები | სხვადასხვა ჯგუფის მოწვევა, ქალაქში/რეგიონში ხალხის შეკრება, კონტაქტების/კავშირების გამოყენება ახალი პროექტებისთვის |
| ფიზიკური გარემო | მიწა, აღჭურვილობები, სპორტული ცენტრი, ბიბლიოთეკა | აღჭურვილობის საჯარო ხელმისაწვდომობა, სპორტული დღეები, საზაფხულო ბანაკები და სხვ. |
| რეპუტაცია | საერთაშორისო ბრენდი | ქალაქის რეგიონში ღონისძიებების/ორგანიზაციების დაფინანსება |
| ეკონომიკური სფერო | მთავარი დამსაქმებელი, ძალაუფლების მიღება, ტურისტული დანიშნულება | თანამშრომელთა და სტუდენტების რეკრუტირება და სხვ. |

აღნიშნულ აქტივობებში არაერთი პარტნიორია ჩართული: სამთავრობო და საჯარო სააგენტოები (მაგალითად, ლივერპულის ქალაქის საბჭო, ევროპული კომისია), კომერციული ორგანიზაციები, მესამე სექტორი (საქველმოქმედო და მოხალისეობრივი ორგანიზაციები) ასოციაციები, თემები, მოქალაქეთა ჯგუფები, ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო  მედია, სკოლები, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს ინდივიდუალური კონტაქტები ან ფორმალიზებული კორპორაციული ურთიერთობა, მაგალითად, ჩრდილოეთ ლივერპულის აკადემია (Cliff და Reynolds).

ასევე, საინტერესოა, რომ უნგრეთის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://www.ceu.edu) გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უსდ-ს ცხოვრებაში სამოქალაქო აქტივიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სათემო საქმიანობებში, თანამშრომლობენ  საჯარო, კერძო თუ არაკომერციულ სექტორთან და ერთმანეთს ცოდნას უზიარებენ. CEU-ს მიზანია მხარი დაუჭიროს ინდივიდუალურ და ერთობლივ საქმიანობებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოების საჭიროებების მოგვარებისა და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისაკენ. CEU ეყრდნობა თანასწორი პარტნიორობისა და დიალოგის პრინციპებს ადგილობრივ, რეგიონულ, გლობალურ ორგანიზაციებთან და ინდივიდებთან. წლის განმავლობაში ცენტრალური ევროპის

უნივერსიტეტი 700-ზე მეტ საჯარო შეხვედრას, საჯარო ლექციათა სერიებს, კონფერენციებს, სემინარებს, ფილმების ჩვენებებს, წიგნების გამოცემას და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობს. ღონისძიებებში მონაწილეობენ როგორც უნგრეთის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ისინი განიხილავენ ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა გლობალიზაცია, ტექნოლოგია, უმცირესობები, სიღარიბე, მიგრაცია, მედია და სხვ.

CEU მუდმივად იწვევს მოხალისეებს პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე. სწორედ მათი მონაწილეობით იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. 2011 წლიდან თანამშრომლები, ფაკულტეტის წარმომადგენლები და სტუდენტები ეხმარებიან უსახლკაროებს, ასწავლიან ინგლისურს ბოშა ბავშვებს. უნივერსიტეტს აქვს ღია სწავლების ინიციატივა ლტოლვილებისთვის, სადაც ისინი ეცნობიან უნგრეთში ცხოვრების თავისებურებებს, ქვეყნის კულტურასა და დასაქმების შესაძლებლობებს. CEU ლტოლვილებს ასევე სთავაზობს კურსებს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ აქტივიზმს დიდი ხნის ისტორია აქვს. აქტივისტები ცდილობდნენ განეხორციელებინათ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ცვლილებები, რის შედეგადაც აშშ-ში აქტივიზმის სხვადასხვა ფორმა განვითარდა. ამერიკის სოციო-პოლიტიკური აქტივიზმი კი 1950-იანი წლებიდან დაიწყო. თავდაპირველად, აქტუალური გახდა აფრიკელ-ამერიკელთა უფლებების დაცვა, შემდეგ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, რასაც მოჰყვა ქალებისა და ლგბტ ადამიანთა უფლებების დაცვა. აქტივისტები ამერიკულ დემოკრატიაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ.

აშშ-ში სამოქალაქო უფლებების ლიდერები ცდილობენ დაიცვან ინდივიდები და ჯგუფები პოლიტიკური ზეწოლისგან, დისკრიმინაციისგან და სურთ საზოგადოების ყველა წევრი ჩართული იყოს სახელმწიფოს სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათთვის სამოქალაქო უფლებები მოიცავს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, გადაადგილების თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სიცოცხლის უფლებას, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სქესობრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობას.

პრინსტონის 2012 წლის კვლევის თანახმად, ამერიკელების 48% ჩართული იყო სამოქალაქო ჯგუფის მუშაობასა და აქტივობებში, გამოკითხულთა 35% მუშაობდა სხვებთან ერთად თემის პრობლემის გადასაჭრელად, 25% ესწრებოდა პოლიტიკურ შეხვედრებს ადგილობრივ, ქალაქის ან სკოლის საკითხებზე, ხოლო 6% საპროტესტო აქციებს. გარდა ამისა, გამოკითხულთა 22%-ს ხელი აქვს მოწერილი ბეჭდურ, ხოლო 17%-ს ონლაინ პეტიციაზე, ასევე 18% დაუკავშირდა საჯარო მოხელეს ონლიან-

საშუალებების გამოყენებით, 7%-ს დაურეკავს და საკუთარი მოსაზრება დაუფიქსირებია რადიო-გადაცემაში. გამოკითხულ ამერიკელთა 39% პოლიტიკური აქტიურობისთვის სოციალურ მედიას იყენებს. საინტერესოა, რომ მაღალი შემოსავლისა და საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტად არიან ჩართული სამოქალაქო აქტივობებში, ვიდრე დაბალი შემოსავლისა და უმაღლესი განათლების არმქონე პირები (Smith, 2013).

რაც შეეხება უნივერსიტეტებში სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითებს, ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტის (AU) მიზანია სოციალური სამართლიანობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა. ოფიციალურ ვებ-გვერდზე (American.edu) გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამა „Alternative Breaks"-ში სტუდენტები და თანამშრომლები იძენენ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას. უნივერსიტეტში ასევე არსებობს სტუდენტთა ქვე-პროგრამები. ეს პროგრამები ემსახურება სტუდენტებს შორის ლიდერობის, თანასწორობის ზრდას, მოხალისეობის ხელშეწყობას, ადგილობრივ და გლობალურ საითხებზე აქტიური მოქალაქეების თანამშრომლობას. სტუდენტთა ჯგუფები ახორციელებენ სათემო ინიციატივებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია სოციალური სამართლიანობის, ემიგრაციის, თავისუფლების, ადამიანთა უფლებების, რასობრივი და გენდერული თანასწორობის, იდენტობასა და გარემოსდაცვით საკითხებზე,

1996 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამა „DC Reads", რომლის მიზანია წერა-კითხვის უნარის გაუმჯობესება. პროგრამაში ჩართულია რამდენიმე უნივერსიტეტი, საჯარო სკოლები და სათემო ორგანიზაციები. 150-ზე მეტი სტუდენტი AU-დან მუშაობს მოხალისე-მასწავლებლად და საკუთარ დროს დაწყებითი სკოლის ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებას უთმობს.

დავამატებთ, რომ თემზე დაფუძნებული განათლება (Community Based Education) და კვლევა უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების ერთ-ერთი სტრატეგიაა. AU-ს თანამშრომლები და სტუდენტები ამ გზით ცდილობენ უპასუხონ ადგილობრივ საჭიროებებს.

*სქემა 1 -* ***თემზე დაფუძნებული განათლების სტრატეგია ვაშინგტონის ამერიკულ უნივერსიტეტში (AU)***




ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია ონლაინ სააპლიკაციო სისტემა EngageNet. ამ სისტემით სტუდენტები რეგისტრირდებიან სათემო აქტივობებში და თვალს ადევნებენ საკუთარ ჩართულობას. სისტემის ადმინისტრატორები EngageNet-ის დახმარებით ხედავენ სად არიან სტუდენტები დასაქმებულნი, როგორია პროგრამის წარმატება, პარტნიორი ორგანიზაციის მოთხოვნა და ფაკულტეტის მხრიდან ჩართულობა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რომელიც 125 წლიან ისტორიას ითვლის, მხარს უჭერენ ურბანულ ინიციატივებს, ითვალისწინებენ სამოქალაქო ინტერესებსა და რესურსებს. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.uchicago.edu) მიხედვით, ისინი მართავენ ღია ფორუმებს და რეგულარული კონტაქტი აქვთ ადგილობრივ ლიდერებთან, სათემო ორგანიზაციებთან. ჩიკაგოს უნივერსიტეტი მხარს უჭერს 150 სათემო და სამოქალაქო პროგრამას, ასევე, ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის გავრცელებისა და კოლეჯისათვის მზაობის პროგრამებს. უნივერსიტეტის სამოქალაქო ჩართულობის ოფისი თანამშრომლობს აღმასრულებელ სააგენტოებთან და კონგრესის წევრებთან. ჩიკაგოს უნივერსიტეტი მხარს უჭერს სათემო, საჯარო, კორპორაციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების გაცვლით პროექტებს, მაგალითად, ეხმარება ორგანიზაციებს სტაჟირებაში მონაწილე სტუდენტების მასპინძლობაში.

# 3. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

## *3.1 რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები*

რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო სამოქალაქო აქტივიზმისადმი დამოკიდებულებისა და მისი ხელშემწყობი პირობების შესწავლა საქართველოს უნივერსიტეტებში. ამ მიზნის მისაღწევად ჩატარდა ინტერნეტ-გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 420 რესპონდენტი საქართველოს 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. კერძოდ, კვლევაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტები. გამოკითხულთა უმრავლესობა 21-26 წლის ახალგაზრდაა. მათგან 66% მდედრობითი, ხოლო 34% მამრობითი სქესისაა. რაც შეეხება ფაკულტეტების მიხედვით განაწილებას, კვლევაში მონაწილე სტუდენტები წარმოადგენდნენ განათლების ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებებისა და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტს.

## *3.2 სამოქალაქო აქტივიზმი უნივერსიტეტში*

გამოკითხული სტუდენტებისათვის გაგზავნილი სტრუქტურირებული კითხვარი შეიცავდა დახურულ კითხვას სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ. რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ შეერჩიათ ჩვენ მიერ შეთავაზებული ერთი ან რამდენიმე პასუხი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე კარგად აღწერდა სამოქალაქო აქტივიზმის ცნების მნიშვნელობას. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო აქტივიზმი არის სამოქალაქო ღირებულებების მიხედვით აქტიური მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ასევე, სამოქალაქო აქტივიზმი შეიძლება იყოს სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებში ნებისმიერი სახის მონაწილეობა.

*დიაგრამა 3.*




გამოკითხული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საინტერესოა, განვსაზღვროთ თუ რა პროცესებმა შეიძლება შეუწყოს ან შეუშალოს ხელი სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას უნივერსიტეტში. რესპონდენტებმა შემოგვთავაზეს ამ პროცესის მრავალი ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორი. მათი აზრით, სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებისათვის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი არის სტუდენტების მოტივაცია. ისინი ასევე ასახელებენ უნივერსიტეტის რგოლებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო აქტივიზმს. ეს რგოლებია: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტური თვითმმართველობა.

რესპონდენტები ასახელებენ სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემშლელ ფაქტორებსაც. მათი აზრით, ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი კვლავ სტუდენტების მოტივაციაა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული რესპონდენტებისათვის სტუდენტების მოტივაცია ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, რადგანაც სწორედ მას შეუძლია მნიშვნელოვნად განავითაროს ან შეზღუდოს სამოქალაქო აქტივიზმი უნივერსიტეტებში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ერთი ნაწილი სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემშლელ მიზეზად სასწავლო პროცესს ასახელებს, რაშიც

სასწავლო განრიგი და ლექცია-სემინარებზე სტუდენტების დატვირთვის მასშტაბები მოიაზრება. აქვე, დავამატებთ, რომ სტუდენტები ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ასახელებენ.

კვლევის პროცესში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს სამოქალაქო აქტივიზმს. მათი უმრავლესობა თვლის, რომ ყველაზე ეფექტური გზა საჯარო ლექციების ორგანიზებაა, რადგანაც ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების ცოდნას სამოქალაქო აქტივობების შესახებ. ასევე, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია სოციალური პროგრამების ინიცირებამ გააუმჯობესოს სამოქალაქო აქტივიზმის დონე უნივერსიტეტში. ამასთანავე, გამოითქვა მოსაზრება სტუდენტური თვითმმართველობის ხელშეწყობის შესახებ, რადგანაც რესპონდენტების ნაწილს სწორედ ეს ინსტიტუცია ესახება სამოქალაქო აქტივიზმის მთავარ ხელშემწყობად.

*დიაგრამა 4.*




## *3.3 პირადი გამოცდილება*

მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტთა პირადი გამოცდილების შესწავლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო აქტივიზმი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია ვნახოთ, მათი რა ნაწილია ამ პროცესში აქტიურად ჩართული. კვლევაში მონაწილე სტუდენტების 42.6%-ს საერთოდ არ განუხორციელებია სათემო აქტივობა, ხოლო 23%-ს მსგავს აქტივობებში მონაწილეობდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. აქვე, რესპონდენტთა პასუხების სქესის ჭრილში განხილვისას საინტერესო მონაცემები გამოვლინდა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული სტუდენტებიდან სამოქალაქო აქტივიზმში ორჯერ უფრო მეტი მამრობითი სქესის რესპონდენტი მონაწილეობდა. გარდა ამისა, ამ კუთხით აქტიური სტუდენტების 49% ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

რესპონდენტების 67% არ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი. საზოგადოებრივი ორგანიზაციებით უფრო მეტად მდედრობითი სქესის სტუდენტები არიან დაინტერესებულნი. მათი 36% მსგავსი გაერთიანების წევრია, მაშინ როდესაც მამრობითი სქესის სტუდენტებთან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 28%-ია. აქვე, დავამატებთ, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებში სტუდენტები ძირითადად განათლებასთან დაკავშირებული და ახალგაზრდული პროექტების განხორციელებით არიან

დაკავებულნი, რაც მიანიშნებს, რომ აღნიშნული საკითხები ყველაზე მეტად პრობლემატური და შესაბამისად საინტერესოა სტუდენტებისათვის.

## თვისებრივი კვლევის შედეგები

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებთან. ფოკუს-ჯგუფების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს სამოქალაქო აქტივიზმისადმი, როგორ ესმით მათ ეს ტერმინი და როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას საუნივერსიტეტო სივრცეში.

### *4.1 სამოქალაქო აქტივიზმის განმარტება და მისი მაგალითები*

სამოქალაქო აქტივიზმის განმარტება მრავალფეროვანი შინაარსის მტარებელია. შესაბამისად, უნივერსიტეტში სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას გულისხმობენ თავად სტუდენტები სამოქალაქო აქტივიზმში. კითხვაზე, თუ რა არის რესპონდენტების აზრით სამოქალაქო აქტივიზმი, მრავალფეროვანი პასუხები მივიღეთ. ზევრისთვის სამოქალაქო აქტივიზმი ასოცირდება საზოგადოებაში საკუთარი როლისა და დანიშნულების დანახვასთან, იმ გზების ძიებასთან, რომლითაც ისინი შეიტანენ წვლილს სამოქალაქო ცხოვრების გაუმჯობესებაში. საინტერესოა, მათი როლის განმსაზღვრელი მაგალითები. რესპონდენტების უმრავლესობისთვის სამოქალაქო აქტივიზმი არ ნიშნავს მასშტაბური საქმიანობების განხორციელებას. ისინი ასახელებენ ისეთ მაგალითებს, როგორებიცაა ქუჩაში უცნობი ადამიანების დახმარება, არჩევნებზე ხმის მიცემა, დასუფთავების აქცია და ა.შ.

> *„სამოქალაქო აქტივიზმია ჩემთვის ის რომ ჩემს შვილს ვასწავლო არ დაყაროს ნაგავი ქუჩაში, ესეც ჩემი როლის დანახვაა... ან შეიძლება იყოს რაიმე დიდ და მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობის მიღება.*

რესპონდენტების პასუხებში ასევე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ საკუთარი პოზიციის გამოხატვაა. მათი

> *„მოქალაქე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახით აქტიური, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ვართ ინდივიდები, მაგრამ ამავდროულად ვართ ამ საზოგადოების წევრები და უნდა ვიყოთ ჩართული სხვადასხვა პროცესებში.*

აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებთან დაკავშირებით რაიმე ფორმით საკუთარი აზრის დაფიქსირება. ეს შეიძლება იყოს მხარდამჭერი ან საპროტესტო აქცია, ხელმოწერა პეტიციაზე და ა.შ. მათი აზრით, მთავარია, მოქალაქეს ჰქონდეს იმის განცდა, რომ რაღაც მთლიანის ნაწილია.

რაც შეეხება საქართველოში განხორციელებული სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაჩინო მაგალითებს, რესპონდენტების უმრავლესობამ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მაგალითები მოიყვანა: პარტიზანული მებაღეობა, დასუფთავების აქციები, მასობრივი აქციები ტყიბულში, ჭიათურაში, პროტესტი მცენარეების გადარგვასთან დაკავშირებით, 13 ივნისის მოვლენები და ა.შ. ასევე, ბევრი მაგალითი შეეხებოდა პოლიტიკურ საკითხებს.

## *4.2 სამოქალაქო აქტივიზმი საუნივერსიტეტო სივრცეში*

რესპონდენტები საუბრობენ სამოქალაქო აქტივიზმის დაბალ კულტურაზე საუნივერსიტეტო სივრცეში. მათი უმრავლესობა სამოქალაქო აქტივიზმს საშუალო ან უფრო დაბალ შეფასებას აძლევს. როგორც ირკვევა, სტუდენტები ძირითად შემთხვევაში არ იჩენენ ინტერესს სწავლა-სწავლების მიღმა საქმიანობებისადმი, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად საუნივერსიტეტო სივრცეც ჩაკეტილია სხვა სახის აქტივობებისათვის. რესპონდენტებმა განიხილეს ორი სახის მაგალითი, როდესაც სტუდენტები სამოქალაქო აქტივიზმის მაღალ კულტურას ავლენენ. პირველ შემთხვევაში, ისინი საუბრობენ ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ერთგვარად სკანდალურ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მეორე კი განათლების ირგვლივ არსებული საკითხებია. სწორედ ასეთი თემები არის ქართველი სტუდენტებისათვის საინტერესო და სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითებიც ამ საკითხებს შეეხება.[2]

> *„სტუდენტების აქტივიზმი გამოიხატება ხოლმე განათლებასთან დაკავშირებით. ისინი ხშირად თავს იკავებენ სხვა სახის აქტივობებში მონაწილეობისაგან“ (თამუნა)*

გამოკითხული რესპონდენტების დიდი უმრავლესობა გამოყოფს სტუდენტების მცირე ჯგუფებს, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობით და ჩართულნი არიან სამოქალაქო აქტივიზმში. ისინი აღნიშნავენ, რომ ასეთი ჯგუფები დიდი არ არის და ძირითადად

[2]კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, ანგარიშში მოყვანილი რესპონდენტების სახელები შეცვლილია

შედგენილია დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისაგან, რომლებიც სწავლაზე ნაკლებად არიან ორიენტირებულნი, შესაბამისად რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტთა სხვა ჯგუფების გააქტიურება, რომლებიც რეალურად შეძლებენ შედეგზე ორიენტირებული საქმიანობების დაგეგმვას და საუნივერსიტეტო სივრცეში შეძენილ კარგ ცოდნასა და უნარებს სამოქალაქო ცვლილებების მისაღწევად გამოიყენებენ.

> *„გონიერი და ჭკვიანი სტუდენტები ნაკლებად იღებენ ამ ყველაფერში მონაწილეობას. არადა მათ მართლა შეუძლიათ რაღაც შეცვალონ“ (შორენა)*

საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სტუდენტური თვითმმართველობის ცუდ მუშაობას. ისინი აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის თვითმმართველობა კარგ იარაღს წარმოადგენს, რადგან მას შეუძლია სტუდენტთა მობილიზება, აქვს საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსი. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმის დაბალი კულტურა შესაძლოა სტუდენტური თვითმმართველობის ცუდი მუშაობის ანარეკლი იყოს, რადგანაც აღნიშნულ ორგანოს საკმარისად კარგად არ აქვს საკუთარი როლი გაცნობიერებული და სხვა სახის აქტივობებით არის დაკავებული, რაც ძირითადად სპორტსა და დასვენებას უკავშირდება.

> *„მეტი წილი პასუხისმგებლობა სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით მოდის თვითმმართველობაზე. მათი საქმიანობიდან სამოქალაქო აქტივიზმის წილი ძალიან მცირეა... თვითმმართველობამ მობილიზება უნდა გაუკეთოს გარკვეულწილად სტუდენტთა ჯგუფებს“ (სალომე)*

### 4.2.1 სამოქალაქო აქტივიზმის ხელისშემშლელი ფაქტორები

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში სამოქალაქო აქტივიზმი შედარებით დაბალია. საინტერესოა, რა ფაქტორები უშლით ხელს სტუდენტებს ასეთი ტიპის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. გამოკითხული რესპონდენტები გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც სტუდენტურ სამოქალაქო აქტივიზმს უშლის ხელს. უპირველესი პრობლემა ფინანსური რესურსებია, რადგანაც სტუდენტებს უჭირთ საჭირო თანხების მოძიება არსებული იდეების რეალიზაციისათვის. ხშირ შემთხვევაში, დონორებისა და სპონსორების მოძიება კარგად განვითარებულ უნარებს, საჭირო ცოდნასა და

> *„მე პირადად, დრო არ მქონდა რომ მივსულიყავი იმ აქტივობებზე რაც მოეწყო უნივერსიტეტში. სტუდენტებს დრო არ აქვთ ამისათვის, რადგან უნდა იმუშაონ რომ სწავლის თანხა გადაიხადონ“ (ქრისტინე).*

ინფორმაციას მოითხოვს, რაც სტუდენტებს ჯერჯერობით არ აქვთ შეძენილი. შესაბამისად, ფინანსური ბარიერი მათთვის გადაულახავია. ასევე, რესპონდენტები საუბრობენ დროის ფაქტორზე. ძალიან ხშირად, სტუდენტებს უწევთ მუშაობა სწავლისა და საცხოვრებელი ხარჯების დაფარვისთვის. აქედან გამომდინარე, მათ აღარ რჩებათ დრო სხვა დამატებითი საქმიანობებისათვის, როგორიც სამოქალაქო აქტივიზმია.

### 4.2.2 სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობი ფაქტორები

გარდა ხელშემშლელი ფაქტორებისა რესპონდენტებმა დაასახელეს საუნივერსიტეტო სტრუქტურები, რომლებიც, მათი აზრით, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას. კერძოდ, ისინი საუბრობენ ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის როლზე. სწორედ მათ გააჩნიათ საჭირო რესურსები, ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სტუდენტური აქტივიზმის დაგეგმვისა და წარმატებული განხორციელებისათვის არის საჭირო. გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფების ანალიზისას გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას უწყობს ხელს:

1. **ლიბერალური გარემო.** კვლევაში მონაწილე რესპონდენტებმა შემოგვთავაზეს კონსერვატული და ლიბერალური სასწავლო გარემოს ერთგვარი შეპირისპირება, რაც, მათი აზრით, საბოლოოდ გავლენას ახდენს სამოქალაქო აქტივიზმის ხარისხსა და ინტენსივობაზე. ისინი აღნიშავენ, რომ თავისუფალი სასწავლო სისტემა, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, საკუთარი აზრის დაუფარავად გაჟღერების უფლება დადებითად მოქმედებს სტუდენტების მოტივაციაზე და მათ მეტი აქტიურობისაკენ უბიძგებს. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას, როდესაც სალექციო თუ ზოგადად საუნივერსიტეტო სივრცე სრულიად თავისუფალია ავტორიტეტების გავლენისაგან და სტუდენტის მოსაზრება ღირებული და ფასეულია, მიუხედავად იმისა თუ რამდენად ახლოსაა ის ჭეშმარიტებასთან. როგორც ჩანს, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ თავისუფალ გარემოს შეუძლია სტუდენტებში განსხვავებული ღირებულებების ჩამოყალიბება, რაც მათ საკუთარი მოქალაქეობრივი როლის განხორციელებაში ეხმარება. ეს კი საბოლოოდ სამოქალაქო აქტივიზმის დაწყების კარგი წყაროა.

> *„ილიაზე  მესმოდა, რომ მეტი თავისუფლება იყო ყოველთვის, როგორც მინიმუმ, გამოხატვის მაინც. შესაბამისად, ილიაში უფრო თავისუფალი ადამიანები იზრდებიან, რაც შემდგომ პროცესებში შეიძლება გამოვლინდეს“ (თამარი).*

> *„მე ვფიქრობ, რომ თავისუფლება სამოქალაქო როლის გაცნობიერებაში ეხმარება, იმიტომ რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგება ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც მუდმივად ჩარჩოში არიან მოქცეულები“ (თათული).*

2. **გაბრაზება, როგორც სოციალური აქტივიზმის წყარო.** რესპონდენტების აზრით, არსებობს პირდაპირი კორელაცია ბრაზსა და სოციალურ აქტივიზმს შორის. კერძოდ, თუ სტუდენტი გაბრაზებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე, პროფესორ-მასწავლებლებზე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა თუ ინფრასტრუქტურაზე - ეს მას ქმედებისა და ცვლილებებისაკენ უბიძგებს, რაც აქტივიზმის საფუძველი ხდება. გაბრაზებული სტუდენტები ადვილად ახერხებენ მობილიზაციას, იძენენ პროტესტის გამოხატვისა და ცვლილებების მიღწევის გამოცდილებას, რაც უფრო მეტი აქტიურობისა და სამოქალაქო აქტივიზმის განხორციელებისაკენ უბიძგებს. ისეთ უნივერსიტეტებში კი, სადაც სისტემა შედარებით მოწესრიგებულია არ არსებობს სტუდენტური პროტესტი და, შესაბამისად, დაბალია სამოქალაქო აქტივიზმის დონე.

*„სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ის თუ რამდენად გაბრაზებულია სტუდენტი უნივერსიტეტზე... სამოქალაქო აქტივიზმის დონე დაიკლებს, როდესაც სტუდენტები ნაკლებად გაბრაზებულები იქნებიან“(ასლანი)*

## *4.3 სამოქალაქო აქტივიზმის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები საუნივერსიტეტო სივრცეში*

როგორც ვხედავთ, საუნივერსიტეტო სივრცეში სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს, რაც მოგვარებას საჭიროებს. ჩვენ მიერ გამოკითხული სტუდენტები საუბრობენ აღნიშნული პრობლემების მოგვარების მათეულ ხედვაზე, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტურ აქტივიზმს.

ზოგადად, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური ქსელის შექმნას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებში ხშირად ტარდება საჯარო ლექციები, ტრენინგები და ა.შ., თუმცა ამის შესახებ მათ ინფორმაცია არ აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თითოეულ სტუდენტს ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის ინფორმაციას ასეთი აქტივობების შესახებ, სტუდენტები ამ სახით მიწოდებულ სიახლეებს ყურადღებას არ აქცევენ. რესპონდენტები საუბრობენ, რომ აუცილებელია ინფორმაციის მიწოდების უფრო ეფექტური გზების ძიება, რათა მოხდეს სტუდენტების დაინტერესება და მათი აქტივიზმის წახალისება.

გარდა ამისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს არაერთი სხვა ინიციატივის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო აქტივიზმის ზრდას სტუდენტებს შორის. კერძოდ:

1. **სადისკუსიო სივრცის შექმნა.** რესპონდენტების აზრით, უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას სხვადასხვა სახის სტუდენტური კლუბები, გაერთიანებები, სადაც სტუდენტებს საკუთარი აზრის გამოთქმის, იდეების წამოყენების და დისკუსიის საშუალება ექნებათ. ასეთი სივრცეების გაჩენა მათ დაეხმარებათ თანამოაზრეების პოვნაში, რადგანაც მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანები ადვილად შეძლებენ ერთმანეთის პოვნას და საერთო იდეების გენერირებას.
2. **კვლევითი სივრცის შექმნა.** რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით პრობლემას წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის არარსებობა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. სამწუხაროდ, უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობა არ წარმოებს, რის გამოც სტუდენტებს მხოლოდ პირადი გამოცდილებით თუ აქვთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. მათი აზრით, რეგულარული სოციალური კვლევები კარგად გამოკვეთს არსებულ მდგომარეობას, რაც შესაძლოა ბიძგის მიმცემი აღმოჩნდეს სტუდენტებისათვის სამოქალაქო აქტივიზმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

*„უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს კვლევითი ცენტრებისა და სივრცის შექმნა. სამოქალაქო აქტივიზმი ვერ იქნება, თუკი არ იქნება მონაცემები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით“(თამარი)*

**3. სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის მიცემა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ.** ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში უნდა მოხდეს საჯარო ლექციებისა და კონფერენციების ორგანიზება სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ, რაც სტუდენტების აღნიშნული საკითხით დაინტერესებას გამოიწვევს. ამასთანავე, ისინი აუცილებლად მიიჩნევენ სალექციო კურსის შექმნას სამოქალაქო აქტივიზმის თემაზე, რომლის არჩევასაც სტუდენტები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეძლებენ. მეტიც,

ზოგიერთი რესპონდენტი მხარს უჭერს სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ სავალდებულო სასწავლო კურსის შემოღებას, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია, რაც მათ შემდგომ აქტივობებს შეუწყობს ხელს.

4. **თანამშრომლობა საჯარო და კერძო სტრუქტურებთან.** რესპონდენტები საუბრობენ უნივერსიტეტის განყენებულ მდგომარეობაზე. მათი ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო კომპანიებსა თუ საჯარო სტრუქტურებს არაერთი საინტერესო პროექტი აქვთ სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ. ხშირ შემთხვევაში მათ ძალიან სჭირდებათ მოხალისეები ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად და საჭიროების შემთხვევაში ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მზადყოფნასაც გამოთქვამენ. თუმცა, უნივერსიტეტებს საერთოდ არ აქვთ თანამშრომლობა ასეთ ორგანიზაციებთან, რაც პრობლემას წარმოადგენს. ჩვენ მიერ გამოკითხული ახალგაზრდების აზრით, აუცილებელია, რომ საჯარო და კერძო სტრუქტურებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ასეთი სახის თანამშრომლობა საბოლოოდ სტუდენტების დაინტერესებას და მათ აქტივობას შეუწყობს ხელს. რესპონდენტებს საკუთარი

> *„დამოუკიდებლობა არ ნიშნავს არათანამშრომლობას და ხიდების დანგრევას. ხიდები უნდა გაიდოს საჯარო სტრუქტურებთან, იმისთვის რომ სტუდენტსაც შეეძლოს სწრაფად გადასვლა და ახალი იდეეების განხორციელება საჯარო სივრცეში“ (თამარი)*

თავი და სხვა სტუდენტები მოხალისეების როლში წარმოუდგენიათ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის აღმოფხვრისა და ცვლილებების მიღწევის საქმეში.

## *4.4 უნივერსიტეტისა და თემის ურთიერთკავშირი*

> *„მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც უნივერსიტეტიდან წავლენ დახურულ ინსტიტუციებში, ციხეებში, ბავშვთა დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებში ანუ ისეთ ინსტიტუციებში, რომლებიც ძალიან ჩაკეტილია. ეს არის სამოქალქო აქტივიზმი ჩემთვის“ (თამარი).*

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან ჩართულნი იმ თემის პრობლემების მოგვარებაში, რომელსაც თავად ეკუთვნიან იქნება ეს ქალაქი, სოფელი, დაბა თუ სხვა. შესაბამისად, მათ ვკითხეთ თუ როგორ წარმოუდგენიათ სამოქალაქო აქტივობების საკუთარ თემში განხორციელება. აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ამ საკითხში უნივერსიტეტის დიდ როლს უსვამენ ხაზს. მათი აზრით, უნივერსიტეტი

უნდა მოგვევლინოს მუნიციპალიტეტებთან კავშირის დამყარების ინიციატორის როლში.

უპირველეს ყოვლისა, სტუდენტები საუბრობენ კარგი თეორიული და  პრაქტიკული ცოდნის მიღებაზე უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში, რომელსაც შემდგომ გამოიყენებენ საკუთარი თემის პრობლემების მოსაგვარებლად. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევს საუნივერსიტეტო დავალებების სპეციფიკის ცვლილებას. მათი აზრით, კარგი იქნება, თუკი სხვადასხვა სალექციო კურსის ფარგლებში მათ მოუწევთ პრაქტიკული სახის დავალებების შესრულება, რომლებიც მათ მშობლიურ რაიონებთან იქნება დაკავშირებული. ასევე, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის კურსი ითვალისწინებდეს მუნიციპალიტეტის შესწავლას, რაშიც სტუდენტები კრედიტ-ქულებს მიიღებენ. რესპონდენტების ერთმა ნაწილმა გამოთქვა იმ სტუდენტების წახალისების სურვილი, რომლებიც საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს თემის პრობლემების შესახებ მოამზადებენ.

კიდევ ერთი ინიციატივა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტებში დესპანების მივლინების იდეასთან. გამოკითხული სტუდენტების აზრით, შესაძლებელია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დესპანების გაგზავნა ამა თუ იმ თემში. უფრო კონკრეტულად, თავად სტუდენტები შეასრულებენ დესპანების როლს და გამართავენ შეხვედრებს მუნიციპალიტეტში, შეისწავლიან იქ არსებულ პრობლემებს, გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და სხვადასხვა პრობლემური საკითხის მოგვარებაში დაეხმარებიან.

> *„კარგი იქნება თუ უნივერსიტეტები გამოყოფენ გარკვეულ ბიუჯეტს ამისთვის. ეყოლებათ დაახლოებით თავისი დესპანები მუნიციპალიტეტებში, სოფლებში. ეს დესპანები გამართავენ შეხვედრებს ადგილობრივებთან, მიაწვდიან მასალებს, ინფორმაციებს“ (ასლანი).*

დამატებით, ასევე, გამოითქვა მოსაზრება სამოქალაქო აქტივიზმის კლუბის შექმნის შესახებ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობასთან. კლუბის წევრები ადგილზე გაეცნობიან ამა თუ იმ თემში არსებულ პრობლემებს და ადგილობრივებთან ერთად შეეცდებიან მათ გადაჭრას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული რესპონდენტები ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სამოქალაქო აქტივიზმის ძლიერი ტალღის არსებობას სტუდენტებს შორის. ისინი ასახელებენ უნივერსიტეტებში არსებულ პრობლემებს, რაც სამოქალაქო აქტივიზმს უშლის ხელს და ამავე დროს აქვთ გარკვეული იდეები და მოსაზრებები თუ როგორ არის შესაძლებელი არსებული რეალობის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ სამოქალაქო აქტივობებში ჩართვის სურვილი,

რისთვისაც მათ სჭირდებათ გარკვეული პოზიტიური ცვლილებების განხორციელება უნივერსიტეტის მხრიდან. ასევე, საინტერესოა მათი მოსაზრებები თემის პრობლემების მოგვარების შესახებ. როგორც ჩანს, სტუდენტები კარგად აცნობიერებენ საკუთარ როლს ძლიერი სამოქალაქო ქსელის ჩამოსაყალიბებლად და აქვთ კონკრეტული იდეები ამ მიზნის მისაღწევად.

### *4.5 სტუდენტების პირადი გამოცდილება*

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ რესპონდენტების უმეტესი ნაწილი დაინტერესებულია სამოქალაქო აქტივიზმით. სტუდენტობის პერიოდში უმეტესობას ერთი სამოქალაქო აქტივობა მაინც განუხორციელებია საკუთარ თემში. მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, ბუნებრივია, განსხვავებდა ერთმანეთისაგან და მათი ინტერესების შესაბამისია. მაგალითად, მოხალისედ ჩართვა ფესტივალების, ბანაკების ან სხვადასხვა სახის პროექტების ორგანიზებაში, საქველმოქმედო აქციების ორგანიზებაში, გარემოს დაცვის და განათლების საკითხებზე მომუშავე კლუბების წევრობა, პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკები და ა.შ. საინტერესოა, რომ სტუდენტების მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა არაანაზღაურებადი იყო.

### *4.6 სამოქალაქო აქტივიზმის ინიციატივა*

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რა სახის აქტივობების განხორციელების სურვილი აქვთ სტუდენტებს. რესპონდენტების პასუხებში ამ კითხვაშიც ჭარბობდა გარემოს დაცვის თემატიკაზე განსახორციელებელი აქტივობები, თუმცა, ასევე, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი განეხორციელებინა აქტივობა, რომელიც იქნებოდა განათლების საკითხებთან დაკავშირებული. განათლების სფეროსთან დაკავშირებული აქტივობები ძირითადად მოიცავს როგორც რეგიონულ, ისე არაფორმალურ განათლებას. იგულისხმება, როგორც სკოლის მოსწავლეებთან სხვადასხვა ტიპის შეხვედრების მოწყობა, ასევე მარგინალურ ჯგუფთან მუშაობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხებზე მუშაობა.

## 4. კვლევის შედეგების ანალიზი და განხილვა

გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა სამოქალაქო აქტივიზმში მოიაზრებს საზოგადოებრივ პროცესებში თანამონაწილეობას და არა ინიციატორობასა თუ აქტიურ მოქმედებას. სამოქალაქო ჩართულობის აღქმის დიაპაზონი იცვლება სტუდენტების მიერ საკუთარი როლის გაცნობიერებიდან და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებიდან

ამა თუ იმ საკითხზე პოზიციის ჩამოყალიბებამდე. ასევე, სამოქალაქო აქტივიზმზე საუბრისას სტუდენტები ნაკლებად აღნიშნავენ იმ საზოგადოებრივ სარგებელს, რომელიც სამოქალაქო აქტივიზმს თან ახლავს.

რაც შეეხება სტუდენტების სამოქალაქო აქტივიზმში ჩართვას, კვლევის შედეგების მიხედვით ჩართულობის მაჩვენებელი არის დაბალი, განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, რომელთა შორისაც, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, სამოქალაქო აქტივიზმი უნდა ყოფილიყო შედარებით მაღალი, აღმოჩნდა, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებიც კი სამოქალაქო აქტივიზმის დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.

საინტერესოა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვა რეგიონულ და საერთაშორისო ჭრილში. კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოსა და სომხეთში სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოხალისეობის კულტურის განვითარება ითვლება. ამ კულტურას დიდი ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. უნივერსიტეტები მხარს უჭერენ სტუდენტებს შორის მოხალისეობის პრაქტიკის გააქტიურებას, რაც სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად განიხილება. ასეთი პრაქტიკა უცხო არ არის დიდი ბრიტანეთისთვისაც, სადაც ჩამოყალიბებულია ერთობლივი მოხალისეობრივი სტრატეგია და მოხალისეობრივი პროგრამები.

სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა საგანმანათლებლო ცვლილებები როგორც ზოგადი პოლიტიკის, ისე საუნივერსიტეტო პოლიტიკის დონეზე. ამ პრაქტიკას მიმართა დიდმა ბრიტანეთმა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებისთვის.

რაც შეეხება საგანმანათლებლო ცვლილებებს საუნივერსიტეტო პოლიტიკის დონეზე, ასეთ პრაქტიკას ვხვდებით აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ უნივერსიტეტში, სადაც სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა ზოგიერთი უნივერსიტეტის მისიის შემადგენელი ნაწილია. მეტიც, უნივერსიტეტი თავად იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტების თემში ჩართულობისა და თემის წევრებთან თანამშრომლობის კუთხით.

საინტერესოა, ვნახოთ თუ რა ფაქტორები განაპირობებს გამოკითხული სტუდენტების ჩართულობის ნაკლებობას სამოქალაქო აქტივიზმში. შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორებია: მოუქნელი სასწავლო პროცესი, ფინანსური რესურსები, რომელთა მოსაძიებლად სტუდენტებს არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და უნარები, მოტივაციის დაბალი დონე და სხვ.

უფრო კონკრეტულად, სტუდენტების ჩართულობას ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, რომლებიც უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, ესენია: სასწავლო პროცესი, გარემო და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. როგორც ვხედავთ, აშშ-სა და წარმატებული

ევროპული უნივერსიტეტებისგან განსხვავებით საქართველოს უნივერსიტეტებში ნაკლებად ხორციელდება სამოქალაქო აქტივიზმის მხარდამჭერი ღონისძიებები.

რაც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობ ფაქტორებს, სტუდენტების დიდი ნაწილი ასეთ ფაქტორად ინდივიდუალურ მოტივაციას ასახელებს, რომლის წყაროც შეიძლება ბრაზი აღმოჩნდეს. როდესაც სტუდენტი გაბრაზებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე, სასწავლო გარემოზე (ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროცესი, რესურსები, პირობები) იზრდება მისი მოტივაცია ცვლილებების განხორციელების კუთხით. უფრო კონკრეტულად, ბრაზი მოქმედებს მოტივაციის ზრდაზე, რაც სამოქალაქო აქტივიზმის დაწყებისთვის არის საჭირო. მართალია, უნივერსიტეტი ნაკლებად ზრუნავს სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სტუდენტებისთვის ბიძგის მიმცემად გვევლინება.

აქვე, დავამატებთ, რომ უნივერსიტეტში ლიბერალური სასწავლო გარემოს არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტუდენტებს შორის სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებისათვის. რესპონდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლიბერალურ გარემოს, რადგან ის ხელს უწყობს პასუხისმგებლობის ზრდას, თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებას.

რაც შეეხება უნივერსიტეტისა და თემის ურთიერთკავშირს, სტუდენტები არ არიან ჩართულები მშობლიური თუ ადგილობრივი თემის პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, მათი მხრიდან ასეთი სახის აქტივობებში ჩართვის სურვილი და მზაობა გამოითქვა. სტუდენტები ხაზს უსვამენ უნივერსიტეტის როლს, რომელიც უნდა მოგვევლინოს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და თემს შორის. ამგვარი კავშირები შესაძლებელს გახდის, რომ სტუდენტები ჩაერთონ თემის პრობლემების მოგვარებაში, საკუთარი ინიციატივით დაგეგმონ საქმიანობები.

## 5. დასკვნა

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტებს კარგად ესმით სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა და დაინტერესებულნი არიან ამ სფეროს განვითარებით. ისინი საუბრობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობის აუცილებლობაზე და ესახებათ ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული გზები. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო აქტივიზმის აღქმა მეტ-ნაკლებად ერთნაირია უნივერსიტეტებს შორის, სასწავლო დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე რესპონდენტები სხვადასხვა ხელშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორს ასახელებენ, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო

აქტივიზმის ხელშესაწყობად აუცილებლად უნდა მოხდეს უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინება. რაც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სტუდენტები საჯარო ლექციების ორგანიზების აუცილებლობაზე საუბრობენ.

რაც შეეხება რესპონდენტების პირად გამოცდილებას, სტუდენტები ხედავენ სამოქალქო აქტივიზმის განვითარების მნიშვნელობას, თუმცა პირადად ნაკლებად არიან ამ პროცესში ჩართულები. და ბოლოს, სტუდენტები სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობ ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ორგანიზაციას შორის კავშირების გაძლიერებასა და სტუდენტების მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობას მიიჩნევენ.

## 6. გამოყენებული ლიტერატურა:


1. Acik-Toprak, Necla. *Civic Engagement in Europe: A Multilevel Study of the Effect of Individual and National Determinants on Political Participation, Political Consumerism and Associational Involvement.* The University of Manchester, School of Social Sciences, 2009.

2. American University, Washington D.C. *www.american.edu.* n.d. http://www.american.edu/ocl/volunteer/ .

3. Ishkanyan, Armine. *Self-determined citizens? A new wave of civic activism in Armenia.* Retrieved from 'link':https://www.opendemocracy.net/armine-ishkanian/selfdetermined-citizens-new-wave-of-civic-activism-in-armenia 20.05.2017.
4. Chicago, University of. *civicengagement.uchicago.edu* . n.d. https://civicengagement.uchicago.edu/about/office-of-civic-engagement/ .

5. **Civic Activism, International Institute of Social Studies. Retrieved from 'link': http://www.indsocdev.org/civic-activism.html. 15.03.2017.**
6. CIVICUS Civil Society Index Rapid Assessment: Armenia Country Report, Yerevan, 2014
7. *CRRC Caucasus Barometer Online Data Analysis - http://caucasusbarometer.org/en/*
8. Delli, Michael. *"Civic Engagement".APA.Org.* American Psychological Association.
9. Democracy Index 2016 Revenge of the "deplorables", The Economist Intelligence Unit, 2016.
10. Friedrich-Ebert-Stiftung, *Independence Generation Armenia 2016*. Yerevan, 2016
11. Frichova Grono, Magdalena. *Nations in Transit - Azerbaijan*, Freedomhouse, 2011.

12. Cliff , Matthew. Reynolds, Jane. *Civic Engagement Review* . University of Liverpool , n.d.

13. *Nx Speaker: ზვიად დევდარიანი - სამოქალაქო აქტივიზმი https://www.youtube.com/watch?v=qL2vmKSykes*
14. Obar, Jonathan A. and Zube, Paul and Lampe, Cliff, *Advocacy 2.0: An Analysis of How Advocacy Groups in the United States Perceive and Use Social Media as Tools for Facilitating Civic Engagement and Collective Action* (November 8, 2011). Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=1956352 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1956352.

15. Hilton, Matthew. McKay, James. Crowson, Nicholas. Mouhot, Jean-Francois. *Civic participation and social responsibility* . University of Birmingham , n.d.

16. Gevorgyan, Siranuysh. *Students Uurge Boycott in Wake of Election*. Retrieved from 'link': https://www.armenianow.com/vote_2013/43885/raffi_hovannisian_serzh_sargsyan_armenia_presidential_election_yerevan_state_university 20/05/2017.

17. Smith, Aaron. "*Civic Engagement in the Digital Age.*" *Pew Research Center.* April 25, 2013.

18. *TIGHTENING THE SCREWS Azerbaijan's Crackdown on Civil Society and Dissent*, Human Rights Watch, 2013.

19. University, Central European. *Civic Engagement.* n.d.

20. Valentina Gevorgyan, Armine Bagiyan *Online versus Offline Activism: the Case of Armenia.* Caucasus Research Resource Centers (CRRC), 2015.

*21.* Yevgenya Jenny Paturyan, Valentina Gevorgyan, Tatevik Badalyan, Nvard Grigoryan and Ani Kojoyan, *Civic Activism as a Novel Component of Armenian Civil Society: New Energy and Tensions*, Turpanjian Center for Policy Analysis at the American University of Armenia, 2015.

*22.* Youth Activism in the South Caucasus, retrieved from 'link': http://crrc-caucasus.blogspot.com/2013/11/youth-activism-in-south-caucasus.html. 20.05.2017.

*23. ახალგაზრდობის ეროვნული კვლევა საქართველოში, unicef, თბილისი, 2014.*

*24. თაობა გარდამავალ პერიოდში ახლაგაზრდობის კვლევა 2016- საქართველო* ,ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2017.

25. მ. ბეგიაშვილი, დ. ბოსტოღანაშვილი, დ. ლეჟავა, დ.ლოსაბერიძე, მ.მკალავიშვილი, გ.ნოზაძე, ს. ნოზაძე. *დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქოება,* თბილისის პროექტთა ბიურო, თბილისი, 2007.

26. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2012 წლის 22 მარტს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: *„მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი".* Retrieved from 'link':https://ge.boell.org/sites/default/files/downloads/1_Role_of_Citizen_in_Politics_Ge.pdf 15.03.2017.

27. ბრანდერი, პატრიცია; გომესი, რუი; კინი, ელლი; ლემინერი, მარი-ლორ; ოლივეირა, ბარბარა; ონდრაჩკოვა, იანა; სურიანი, ალესიო; სუსლოვა, ალიონა. 2004. *კომპასი: სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით.* თბილისი.

28. ბოროუსი, გრიერ; რუხაძე, ზაზა; კვაჭაძე, მარინე; გაფრინდაშვილი, ლელა; იზორია, ლევან. 2011. *დემოკრატია და მოქალაქეობა: საკითხავი მასალა სტუდენტისათვის.* საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში.